პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 59 დასახლებული პუნქტიდან გარე განათების სრულად მოცულია ქალაქი ცაგერი, სოფელები: ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, გვესო, ორბელი, სპათაგორი, ხოჯი, ხოლო 56 სოფელი ნაწილობრივ. ამასთანავე 2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესაბამისად დაიგეგმა და მიმდინარეოს 18 დასახლებულ პუნქტში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯება 116200 ლარი, შესაბამისად მოეწეობა 181 ბოძი				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელის გაფართოება და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება,		მიღწეული შედეგი		გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების ქსელი,
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი(%)	
	ღამის საათების მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება	176845გრ/მ	176845გრ/მ	176845გრ/მ		მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვის სამუშაოები

შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

2025 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარეობს კეთილმოწყობის ღონისძიებები

- მწვანე თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოები
- სოფ.ოყურეშის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		02 05		კეთილმოწყობის ღონისძიებები	
პროგრამის გამახორციელებელი		სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი		კეთილმოწყობის პროგრამა ქალაქსა და სოფლად სკვერები სპორტული მოედნები ფინანსდება როგორც ადგილობრივი ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დასრულდა სოფელ საირმეში სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ინფრასტრუქტურასთან კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზედაც დახარჯულმა თანხამ 95339 ლარი შეადგინა მოწყობა ოყურეშში სპორტული მოედანი, რაზედაც დაიხარჯა 69333 ლარი, დაიგეგმა სოფ.ლარჩვალსა და ორბელში სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია რაზედაც დაიხარჯება 288000 ლარი, ხოლო სოფელ ჭალისთავში აშენდება კოტეჯი 115640 ლარის ღირებულებით, ამასთან ჭადრაკისა, ესთეტიკური აღზრდის სახლის და ლუხვანოს ბიბლიოთეკის რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 156214 ლარი			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ქალაქის იერსახის შენარჩუნება და ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებული და მოვლილი მუნიციპალური ობიექტები	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			განმარტება
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობა სტანდარტების შესაბამისად (ერთეულის რაოდენობა)	4	6	7	0	
კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)				50%	

ვ) ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრ და სანიაღვრე სისტემებს. კერძოდ;

- სოფ.სპათაგორის ხიდთან მდინარის კალაპოტის დაღრმავების სამუშაოები

შუალედური შედეგი

- სანიაღვრე არხების რეაბილიტაციამ გააუმჯობესა სანიაღვრე არხებში წყალგამტარიანობა
- მდ.ლაჯანურის კალაპოტის დაღრმავება, რათა საფრხე არ შეექმნას მოსახლეობას წყლის ნაკადის მომატების შემთხვევაში.

თ) სოფლის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		02 07		სოფლის პროგრამის მხარდაჭერა		
პროგრამის გამახორციელებელი		სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გამოყოფილი სახსრები ყოველწლიურად 620 000 ლარის ოდენობით მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება 58 დასახლებულ პუნქტზე, რითაც ყველა სოფელს შესაძლებლობა ჰქონდა შეერჩია სოფლის საჭიროებაზე მორგებული პროექტები. პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული იყო შიდა სასოფლო გზები, სასმელი წყლები, გარე განათება და სხვა ღონისძიებების გატარება.ამასთან თანა დაფინანსებამ 19990 ლარი შეადგინა				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		სოფლის კრებებზე შერჩეული წინადადებების შესაბამისად სხვადასხვა პროექტების განხორციელება		მიღწეული შედეგი		2025 წელს შერჩეული 76 პროექტიდან დასრულებულია 74პროექტი, 14 პროექტი დაუკონტრაქტებული დარჩა.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	76	76	74	97%	

2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	90	90	97	97%
---	--	----	----	----	-----

ი) მუნიციპალური ტრანსპორტი სუბსიდირება (პროგრამული კოდი 02 09)

2025 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდა რაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2025 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვინის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“). ასევე მოსახლეობის კომფორტული და დროული გადაადგილების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული ორი ახალი სამგზავრო ავტობუსი (მანის ტიპის) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ახორციელებს ორი მიმართულებით ცაგერი-ისუნდრის ასახვევი და ცაგერი-ალპანა დღეში ორჯერ სამგზავრო გადაზიდვებს შედავათთან ფასებში. ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	02 09	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	
პროგრამის გამახორციელებელი	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოქმედებს 19 მუნიციპალური სამარშრუტო ხაზი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მგზავრობა გადაყვანისათვის აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი, შესაბამისად სუბსიდიამ საანგარიშო პერიოდში 170820 ლარი შეადგინა, ამასთან ერთად მოქმედებს 10 საქალაქთაშორისო სამარშრუტო ხაზი საბაზრო ფასების შესაბამისად.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება	მიღწეული შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოქმედებს სამგზავრო სატრანსპორტო გადაყვანების სამარშრუტო სქემა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება

№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	58 სოფლიდან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან უკავშირდება	85	90	90 %	
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	80%	85%	90%	

შუალედური შედეგი

მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის შეუფერხებელი დაკავშირება მუნიციპალიტეტის ცენტრთან.

ორგანიზაციული კოდით 02 10 დაგეგმილი იყო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

- **თ) სოფლის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 08)**
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 993,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 994,0 ათ.ლარის 99,9 პროცენტია. გამოყოფილი სახსრები მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და სასაფლაოების დასუფთავებას მოხმარდა

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	994	993,8	99,9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	994	993,8	99,9

აღნიშნული სახსრებით განხორციელდა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 139 პირი,საწინებით აღჭურვილი 2 ერთეული ნაგვის გამტანი მერსედესის ტიპის 9-13კუბ/მოცულობის, გამართულ მდგომარეობაში და ივერგოს მარკის 1 ცალი ნაგავშიდი, 1 ცალი თვითმცლელი მანქანა. ქალაქის ტერიტორიაზე და სანიაღვრე არხების და ბორდიურების გაწმენდისთვის, 53 მეეზოვე, 16 მუშა და 3 მძღოლი,ასევე ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა. ქალაქში ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ცაგერში 104000კვ/მ, სანიაღვრე არხების სიგრძე შეადგენს 4350მ-ს,ქალაქიდან გასატანი ნარჩენების მოცულობა შეადგენს 1801,8კუბ/მ-ს,ნარჩენების შეგროვებისათვის ქალაქსა და სოფლებში განთავსებულია 334 ნაგავშემკრები. ქალაქის დაფარვა 100%, სოფლის კი 42%, სულ მუნიციპალიტეტის დაფარვა 62%-ია. ნაგავშენკრები კონტეინერები პლასმასის 1,1მ/კმოცულობის - 275 ცალი, რკინის 1,1მ/კ მოცულობის - 80 ცალი,რკინის პატარა 0,6მ/კ - 60 ცალი. მუნიციპალიტეტის სოფლიდან შეგროვებული ნარჩენები გადის ქ.ცაგერის ნაგავსაყრელებზე სადაც განხორციელდა 491 შესვლა. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის ქუჩების და სკვერების სისუფთავის დაცვა, ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, უპატრონო მაწანწალა ძაღლების კანონის ფარგლებში ლოკალიზაცია.სანიაღვრე მეურნეობის გამართული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	03 03	დასუფთავება და გრემოს დაცვა	
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ კომუნალური მომსახურება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის ქუჩების და სკვერების სისუფთავის დაცვა, ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, უპატრონო მაწანწალა ძაღლების კანონის ფარგლებში ლოკალიზაცია.სანიაღვრე მეურნეობის გამართული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება ესთეთიკური და ჰიგიენური იერსახის მოწესრიგება,სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე.ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, შეუფერხებლად განხორციელდა ცაგერის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვა და მწვანე საფარის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ცაგერში 104000კვ/მ, სანიაღვრე არხების სიგრძე შეადგენს 4350მ-ს,2025წ ნარჩენების მართვის კომპანიის

						<p>მონაცემებით ნაგავსაყრელზე შეტანილია 111801,8ტონა მუნიციპალური ნარჩენი,გასუფთავებუ ლიაქალაქის ტერიტორია და პარკებიზამთრის პერიოდში თოვლის შედეგად მოთხრილი და დაზიანებული ხეების ნარჩენებისაგან .ნარჩენების შეგროვებისათვის ქ.ცაგერში და სოფლებში განთავსებულია 335 ნაგავშემკრები. ქალაქის დაფარვა 100%, სოფლის კი 42%, სულ მუნიციპალიტეტის დაფარვა 62%-ია. ნაგავშემკრები კონტეინერები პლასმასის 1,1მ/კმოცულობის - 275 ცალი, რკინის 1,1მ/კ მოცულობის -80 ცალი,რკინის პატარა 0,6მ/კ - 60 ცალი.</p>
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	დაცული ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის და ვიზიტორთა კეთილდღეობას, სხვა დამატებითი ღონისძიებები. ებები.	50%	70%	70%		

2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	40	50	65		
---	--	----	----	----	--	--

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2305.8 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2320.8 ათასი ლარის 99.4 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2175.1 ათასი ლარი, ცაგერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 130.7 ათასი ლარით,

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	2320.8	2305.8	99.4
04 01	ა(ა)ცაგერის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება	2188.8	2157.1	98.6
04 02	ცაგერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	132.0	130.7	99.0

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი დამოუკიდებლად ანხორციელებს ბავშვთა საგანმანათლებლო აღმზრდელობით შემოქმედებით სულიერ და ზნეობრივ საქმიანობას. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება შრომის შინაგანაწესს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“ სხვა ნორმატიული აქტებისა და დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 14 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულება, ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, რეგისტრირებულია 166 აღსაზრდელი. აქედან 2 ქალაქის ტერიტორიაზეა, ხოლო 12 სოფლად. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 7.15 ლარი შეადგინა.

თითქმის ყველა ბაღში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად შეყვანილია გაგრძელება სამფაზიანი ელენერგის შეყვანა, რათა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სამზარეულოები გადავიდეს ელექტრო ქურებით სარგებლობაზე. მიმდინარეობს ერთი ბაღის 1 ბაღის რეაბილიტაცია.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	04 01	განათლება
პროგრამის გამახორციელებელი	ააიპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში სულ 172 სკოლამდელი ასაკის ბავშვია. ხოლო 6 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 14 საბავშვო ბაღი, აქედან 2 განთავსებულია ქალაქის ტერიტორიაზე, 12 სოფლად. ფუნქციონირებს უზრუნველყოფს "ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება" საბავშვო ბაღების გაერთიანება". ბარებიდან საჯარო სკოლაში წავიდა 66 ბავშვი და შემოვიდა 44 აღსაზრდელი. აღსაზრდელთა კვება წარმოებს დადგენილი ნორმების შესაბამისად სამჯერადად (საუზმე, სადილი, სამხარი), ერთ ბავშვზე დღიური ნორმა განსაზღვრულია 7,4 ლარი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 194 თანამშრომელი, მათ შორის 64 აღმზრდელი და 130 ტექნიკური პერსონალი. გადამზადებული და სერთიფიცირებულია 50 აღმზრდელი</p>	

				განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროფესიული განვითარების ტრეინინგ მოდულის შესაბამისად. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო		
				პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბალების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბალების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პერსონალის მცირე ხელფასის გათვალისწინებით 2025-2026 წლებში პრემიერ მინისტრის ინიციატივით 125 ლარითა და 10% გაიზრდა ხელფასი,		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი				სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება სასკოლოდ	მიღწეული შედეგი	ბალების აღსაზრდელები მომზადებული არიან სასკოლოდ
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა	50%	70%	70%	0	
	სტანდარტების შესაბამისი გარემო	20%	40%	40%	0	
	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ	3	2	0	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების დარღვევის შესახებ ბალებს არ მიუღიათ	
	შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	1	0	0	შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ბალებს არ მიუღიათ	

გ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი(პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ რითიც ხელი შეეწყო ბავშვთა პიროვნულ განვითარებას და თავისუფალ შემოქმედებით აზროვნებას.

შუალედური შედეგი
მოზარდთა შემოქმედებითი - საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ დონისძიებებზე გაწეული იქნა 3874.2ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3901.1 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 99.3 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1065.4 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 2776.4 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 583.0 ათასი ლარი, ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობას - 65,0 ათასი ლარი.

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3901.1	3874.2	99,3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1066,1	1065,4	99,9
05 01 01	ცაგერის სასპორტო სკოლა	515,8	515,7	100
05 01 02	ფეხბურთის გუნდი ხვამლი	292,3	292,3	100
05 01 03	ფრენბურთის გუნდი ცაგერი	258,0	257,3	99,7
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2802,6	2776,4	99,1
05 02 01	კულტურის ცენტრი	571,7	565,0	98,8
05 02 02	ისტორიული მუზეუმი	297,8	294,9	90,0
05 02 03	სამუსიკო სკოლა	144,9	144,5	99,7
05 02 04	სამხატვრო სკოლა	102,7	102,1	99,4
05 02 05	მთავარი ბიბლიოთეკა	328,7	320,8	97,6
05 02 06	კულტურული დონისძიებების დაფინანსება	148,0	143,5	97,0
05 02 07	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	5,6	5,6	100
05 02 09	ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი	236,5	235,7	99,7
05 02 11	ა(ა)იპ ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	106,7	104,9	98,7
05 02 14	ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი	583,4	583,0	99,9
05 02 15	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	194,7	194,7	100
05 02 16	დევხვიის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული "მუზეუმი ღია ცის ქვეშ"	81,9	81,7	99,8
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	32,4	32,4	100

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

1 ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა (05 01 01) 2025 წელს გამოყოფილი იქნა 515 800 ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა მეოთხე კვარტალში 515 709,05 ლარით, რაც გეგმის 99.98 %-ია.

აღნიშნული სახსრებით სასპორტო სკოლამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში. სადაც დაიხარჯა 117 729 ლარი, შრომის ანაზღაურება 350 715 ლარი, ოფისის ხარჯი 27 267 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯი 5400 ლარი, სხვა ხარჯები 14 598,05 ლარი. სასპორტო სკოლამ აქტიური მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ რესპუბლიკურ და რეგიონალურ სპორტულ ღონისძიებებში, კერძოდ: ქართულ ჭიდაობაში,სამბოში,თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდოში, კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, ასევე ჩატარდა შიდა რაიონული ტურნირები რაიონის საჯარო სკოლებს შორის- კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, მკლავჭიდში, შაში,თავისუფალ ჭიდაობაში. სასპორტო სკოლის სპორტული ღონისძიებების ხარჯების მონაცემები:

1. სამბო -10304 ლარი
2. კრივი - 270 ლარი
3. ქართული ჭიდაობა - 21 950 ლარი
4. ძიუდო - 51 832 ლარი
5. თავისუფალი ჭიდაობა - 30 850ლარი
6. მაგიდის ჩოგბურთი - 1 140 ლარი
7. ჭადრაკი -1 383 ლარი

1, ძიუდო: 5 - პირველი ადგილი
8 - მეორე ადგილი
21 - მესამე ადგილი
5 -სალიცენზიო ადგილი

2. თავისუფალი ჭიდაობა 34 - პირველი ადგილი
34- მეორე ადგილი
38 -მესამე ადგილი

3. სამბო - 2- პირველი ადგილი
2- მეორე ადგილი
7 - მესამე ადგილი
1 - მეოთხე ადგილი

4.ქართული ჭიდაობა
1- პირველი ადგილი
2 - მეორე ადგილი
4 - მესამე ადგილი

ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის თასის ტურნირში სასპორტო სკოლის მწვრთნელმა - ვეტერანმა ძიუდოისტმა ივანე ქურასხედიაძემ დაიკავა მეორე ადგილი . ასევე ლიეტუაში ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა მეორე ადგილი .

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		05 01 01		კულტურის და სპორტის განვითარება		
პროგრამის გამაზორციელებელი		ა(ა)იპ „ცაგერის სასპორტო სკოლა“				
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>სკოლა. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები, ესენია: ჭიდაბა(მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თაცისუფალი ჭიდაობა), მკლავჭიდი,კალათბურთი ; ჭადრაკი;კრივი; მაგიდის ჩოგბურთი . სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, კვირა დღეის გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეჯიბრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში მუნიციპალიტეტის, რეგიონის და საქართველოს მასშტაბით.ტურნირებში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.		მიღწეული შედეგი		სკოლის სპორტსმენების მიერ სხვადასხვა ტურნირებში დაკავებული საპრიზო ადგილები
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	სპორტით დაკავებული ადამიანების რაოდენობა	50%	80%	80%		

2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	45%	80%	80%		
---	--	-----	-----	-----	--	--

ააიპ საფეხბურთი კლუბი ხვამლი განმავლობაში (პროგრამული კოდი 05 01 02)

2025 წლის სპორტული ღონისძიებისათვის დაიხარჯა 34750 ლარი.

სულ ა(ა)იპ-ში გაერთიანებული 60 ბავშვი, ფუნქციონირებს საშეჯიბრო 3 ასაკობრივი გუნდი ბიჭების, რომლებით მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ღონისძიებებში, კერძოდ, 2014 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის ღია ჩემპიონატში „მერაბ მეგრელაძის“ სახელობის თასზე და რაჭა-ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის სამხარეო ღონისძიებებში, კერძოდ, „ლ.კენჭაძის და ა.ჩაგელიშვილის“ სახელობის თასზე. 2015 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობას იღებს იმერეთის 2025 წლის ღია ჩემპიონატში „ჯემალ ხერხაძის“ სახელობის თასზე.

მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ ჩემპიონატში, სადაც მონაწილეობას იღებდა ოთხი გუნდი. 7X7-ზე ფეხბურთის ასოციაციის მიერ გამართულ მასტერლიგის რეგიონალურ ჩემპიონატში ქ. ონში, ასევე ქ.ქუთაისში გამართულ ღია ჩემპიონატში.

ააიპ ფრენბურთის გუნდი ცაგერი (პროგრამული კოდი 05 01 03)

2025 წელს გამოყოფილი იქნა 258,0ათ.ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 257,3 ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია.

აღნიშნული სახსრებით წრთვას გადის უმაღლესი და პირველი ლიგის ვაჟთა გუნდები, „ბ“ ლიგის გოგონათა გუნდი და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, როგორც ვაჟების, ასევე გოგონების, 2025 წელს კლუბს გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული კლასიკური, ქვიშის და თოვლის ფრენბურთის პოპულარიზაციის მიზნით. სპორტის სამინისტროს და ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული კალენდარის მიხედვით მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ასაკობრივ და ქვეყნის მამულებით ჩატარებულ რამდენიმე სპორტულ ღონისძიებაში. წლის განმავლობაში ჩავატარეთ რამდენიმე ადგილობრივი ღონისძიება. 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატზე თოვლის ფრენბურთში ვაჟთა გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი. საქართველოს 33-ე ეროვნულ ჩემპიონატზე უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, რომელიც გაიმართა შემოდგომა -გაზაფხულზე დავიკავეთ მეოთხე ადგილი. საქ. 2025 წლის ჩემპიონატზე ქვიშის ფრენბურთში დავიკავეთ მესამე ადგილი, საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატზე პირველი ლიგის გუნდებს შორის დავიკავეთ მეექვსე ადგილი. ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა 2025 წელს საქართველოს ჩემპიონატზე „ბ“ ლიგის გუნდებს შორის დაიკავა მეოთხე ადგილი. 2025 წლის ქ. ბათუმის თასზე ვაჟთა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი.

ფუნქციონირებს ვაჟთა და ქალთა გუნდები რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ჩემპიონატსა და

სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში, კერძოდ;

- ქ.მცხეთაში საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი მერვე ტური უმაღლეს ლიგაში ვაჟთა გუნდებს შორის - მეორე ადგილი.
- ქ.მცხეთაში საქართველოს 2023-2024 წლის 32-ე ეროვნული ჩემპიონატი მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ტურის თამაშები ტური უმაღლეს ლიგაში ვაჟთა გუნდებს შორის -მეოთხე ადგილი.
- დაბა ბაკურიანში საქართველოს 2024 წლის ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში – III ადგილი.
- ქ.მცხეთაში საქართველოს 2024 წლის ეროვნული ჩემპიონატი პირველი ლიგაში ვაჟთა გუნდებს შორის - მეხუთე ადგილი.
- ქ.ცაგერი საქართველოს 33-ე ეროვნული ჩემპიონატი მეცამეტე ტური უმაღლეს ლიგაში ვაჟთა გუნდებს შორის
- ქ.ცაგერში რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადა ვაჟებსა და გოგონებს შორის.
- ქ.ცაგერი საქართველოს 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე პირველი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.
- ქ.მცხეთაში მერვედღიანალური თამაშები პირველი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.
- ქ.ხონში „ბ“ ლიგის თამაშები გოგონათა გუნდებს შორის.
- ქ.მცხეთა საქ. 33-ე ეროვნული ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტური.
- ქ.თბილისი პლეიოფის თამაშები უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.
- ქ.თბილისი პლეიოფის თამაშები პირველი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.

- ქ.საჩხერე საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები „ბ“ ლიგის გოგონათა გუნდებს შორის
- ქ.ცაგერი 2025 წლის ასაკობრივი ჩემპიონატი რაჭა-ლეჩხუმი ქვემოსვანეთის და სამეგრელო - ზემო სვანეთის ვაჟებსა და გოგონების გუნდებს შორის,
- ქ.გორი საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები გოგონათა გუნდებს შორის.
- ქ.თბილისი საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშები ვაჟთა გუნდებს შორის.
- დაბა ურეკი საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატში ქვიშის ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის.
- ქ.ცაგერი მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ქ.ცაგერისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლის გუნდებს შორის.
- ქ.თბილისი საქართველოს 2025 წლის ეროვნული საკლუბო ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთში.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			05 01 03	სპორტის განვითარება		
პროგრამის გამახორციელებელი			ა(ა)იპ ფრენბურთის გუნდი ცაგერი			
პროგრამის აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ფრენბურთის კლუბი ცაგერი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ფრენბურთის განვითარებას. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატში უმაღლესი, პირველი და „ბ“ ლიგის გუნდები როგორც ვაჟები ასევე გოგონები. კლუბში არსებობს კლასიკური, ქვიშის და თოვლის“ ფრენბურთის გუნდები, კლუბის მწვრთნელები და მსაჯები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა ტურნირებში. ახალგაზრდა ფრენბურთელების აღზრდა საქართველოს ნაკრებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ახალი სპორტული კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.პროგრამის მიზანია: ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მოზარდების და ქალთა ფრენბურთის პოპულარიზაცია.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი			პროგრამის მიზანია წლიდან წლამდე ფრენბურთით დაინტერესებულ პირთა გაზრდილი რაოდენობა	მიღწეული შედეგი	საქ.სხვადასხვა ჩემპიონატებსა და შეჯიბრებებზე დავიკავეთ საპრიზო ადგილები	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	

1	ფრენბურთით დაინტერესებული მოსახლეობის გაზრდა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.	30%	40%	50%	2%	
2	კმაყოფილი მოსახლეობა	30%	35%	40%		

ბ.ა) კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა) იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის (პროგრამული კოდი 05 02 01) 2025 წელს სუბსიდიის გეგმა შეადგენს 571,7 ათ. ლარს. ხოლო დაფინანსებამ შეადგინა 565,0 ლარი.

აღნიშნული სახსრებით კულტურის ცენტრმა 6-თვეში უზრუნველყო კულტურის ცენტრის ორი დარგობრივი მიმართულების ფუქციონირება:

1. მუსიკალური და თეატრალური კოლექტივები:
 2. 18- სასოფლო კლუბი და „მწვანე თეატრი „
1. მუსიკალური და თეატრალური მიმართულებით ფუნქციონირებს:
- გრ.მდიენის სახლობის სახალხო თეატრი, საბავშვო-მიუზიკლების თეატრი,საბავშვო მუსიკალური სტუდია „ჭიტა-ჭიტა“ მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი “სალადობო“, ფოლკლორული ანსამბლი „ სალადობო“ -ახალი თაობა. კამერული გუნდი, ბავშვთა და მოზრდილთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“, ქალთა ანსამბლი „მერდინი“. აქ მითითებულ კოლექტივებს აქვთ სრულყოფილი პროგრამა, რომლითაც ისინი მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და რეგიონალურ ღონისძიებებში, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალებში. კერძოდ,
 - „ საშობაო ზღაპარი“
 - „გილოცავთ ახალ წელს“
 - სალონური საღამო „ ლადო ასათიანის „ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს“
 - კონცერტი წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი
 - მუსიკალურ ლიტერატურული კომპოზიცია- „დედავ სიცოცხლის დიდო საწყისო“
 - კონცერტი - „ქალი სიცოცხლე და გაზაფხული „ კულტურის ცენტრში
 - კონცერტი „ გული ადამიანობს „ კულტურის ცენტრში
 - სპექტაკლი -ადამიანთა სევდა „
 - სპექტაკლი - „ ადამიანთა სევდა“ ქ. ამბროლაურში თეატრალურ ფესტივალთან დაკავშირებით.
 - დავაწმოსილი პიროვნების კარლო მუშკუდიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო
 - დამსახურებული ექიმის ვ. გოლეთიანის ხსოვნის საღამო
 - ქ.ამბროლაურში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა.
 - კონცერტი- „ფიქრების ზღვა „
 - სპექტაკლი „მზის საიდუმლო“,
 - საქველმოქმედო კონცერტი „ჩამჭიდე ხელი“,
 - საერთაშორისო ფესტივალი-კონკურსი „ნარინჯისფერი ქობულეთი 2025“,
 - „ლაილაშლობა 2025“
 - „ონელობა2025“
 - „ლეჩხუმლობა 2025“
 - „ლენტეხლობა 2025“
 - „ ლადობა“ ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში განახლებული ექსპოზიის გახსნასთან დაკავშირებით სოფელ ბარდნალაში,
 - „რუსუდან ყურაშვილი“-ის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით , „ვარსკვლავის გახსნა“-ის ,
 - ცაგერის სახალხო თეატრის 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ ვარსკვლავის გახსნა“
 - სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

3 კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლის წვერები, საბავშვო მიუზიკლების მსახიობები. მომავალი თაობა სწავლობს სასცენო ხელოვნებას, სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს. მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.რომელიც არის კულტურის ცენტრისათვის პრიორიტეტი.

2.საკლუბო ქსელის /სასოფლო კლუბები/ სხვა კულტურული ობიექტები: „მწვანე თეატრი“.

2025 წელში ფუნქციონირებს 16 სასოფლო კლუბი,სასოფლო კლუბები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი ფოლკლორის გადარჩენის საქმეში. პეროდულად ვხვდებით კლუბის მუშაკებს, გვაქვს საქმიანი წინადადებები ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად და მისი პოპულარიზაციისათვის.

<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>05 02 01</p>	<p>კულტურის განვითარება</p>	
<p>პროგრამის გამახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მოქალაქეთა განათლების და კულტურული ჩვევების ამაღლება, მოზარდთა ესთეტიკური ჩვევების ჩამოყალიბება, , ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ნიმუშების შენარჩუნება და პოპულარიზაცია, ქართული სიმღერისა და ცეკვის , თეატრალური ხელოვნების განვითარება, კულტურული ღონისძიებების , საიუბილეო და სახალხო დღესასწაულების, ახალგაზრდული შეკრებების და გასართობის ღონისძიებების ორგანიზება. კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს კულტურის ორი დარგობრივ მიმართულებას 1. მუსიკალური და თეატრალური კოლექტივებს. 2.საკლუბო ქსელს და „მწვანე თეატრი“-ს.</p> <p>1.მუსიკალური და თეატრალური მიმართულებით ფუნქციონირებს გრ.მდივნის სახლობის სახალხო თეატრი, საბავშვო-მუსიკალური სტუდია „ჭიტა- ჭიტა“საბავშვო მიუზიკლების თეატრი. მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი“სალაღობო. ფოლკლორული „ანსამბლი“ სალაღობო“ - ახალი თაობა .კამერული გუნდი, ბავშვთა და მოზარდითა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“, ქალთა ანსამბლი „მერდინი“. აქ მითითებულ კოლექტივებს აქვთ სრულყოფილი პროგრამა, რომლითაც ისინი მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ, რეგიონალურ და ქვეყნის მასშტაბით ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც კულტურის ცენტრისათვის არის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება.</p> <p>2.საკლუბო ქსელი /სასოფლო კლუბები/ და სხვა კულტურული ობიექტები(მწვანე თეატრი) ფუნქციონირებს 16 სასოფლო კლუბი 2.სასოფლო კლუბები მონაწილეობა ს ღებულობდნენ ადგილობრივი ფოლკლორის გადარჩენის საქმეში და მისი პოპულარიზაციისათვის</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა,</p>

						ჩატარებულია 28-კულტ. ღონისძიება, გაზრდილია ბავშვების და მოზარდების ჩართულობა, კერძოდ, საბავშვო მიუზიკლების თეატრში მონაწ. 33 ბავ. და მოზარ ბავშვითა და მოზარდთა ფოლკლორულ ანსამბლში „ხვამლი“ 22ი. საბავშვო მუსიკალური სტუდია „ჭიტა“- მონაწილეობს 35- ბავშვ და მოზ.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა,	95	95	95		
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	კმა.100	100		-	

ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმი“ (პროგრამული კოდი 05 02 02)

2025 წელს გამოყოფილი გეგმა შეადგენს 297,8ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 294,9 ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით ღონისძიებები: **ისტორიული მუზეუმი**

1. მუზეუმის ჰოლში განთავსდა დროებითი ექსპოზიცია, რომელიც მოიცავს მუზეუმის დაარსებისა და მის შემდგომი განვითარების ისტორიას.
2. მუზეუმის ჰოლში განთავსდა სტენდი, სადაც ასახულია ლეჩხუმიდან გატანილი განძების ვიზუალები.
3. დედა ენის დღესთან დაკავშირებით მუზეუმში გამოიფინა იაკობ გოგებაშვილის დედა ენის 37 უნიკალური გამოცემა,
4. 2025 თებერვლიდან ისტორიულ მუზეუმში დაიწყო ლეჩხუმური პოეზიის ანთოლოგიის შექმნის სამუშაოები.ივნისში დამთავრდა ამ პროექტის ერთი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ლეჩხუმელი გარდაცვლილი,გამოუქვეყნებელი პოეტების ნამუშევრების მოძიებას და შეგროვებას.აღნიშნული პროექტი გაგრძელდება შემდეგ წლებში და სავარაუდოდ დასრულდება 2027 წელს.
5. დედა ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია „დედა ენის თავგადასავალი” - მიზნობრივი აუდიტორია ლეჩხუმის სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებლები.
6. 2023 წლიდან მუზეუმში ტარდება რეგიონალური კონფერენცია:მთიანი ლეჩხუმის ისტორიული წარსულიდან.
7. ისტორიულ მუზეუმში გაიმართა წიგნის: „ლეჩხუმის ეკლესია მონასტრები და სასულიერო პირები XIX საუკუნის დასაწყისში”
8. გიდის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა შემეცნებითი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან,
9. პროექტი „სტუმრად ლეჩხუმში” ტარდება ყოველ წელს ზაფხულში და მისი მიზანია ახალგაზრდებს გააცნოს ლეჩხუმის ისტორია,გეოგრაფია, ღირშესანიშნაობები,არქიტექტურული ძეგლები. მოვეყვით ამ კუთხის ისტორია, ვესაუბროთ ლეჩხუმში დაცული სიძველეებისა და მუზეუმების შესახებ.პროექტის მიზნობრივი აუდიტორიაა, ლეჩხუმელი და ლეჩხუმში სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდები.2025 წელს ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი შეხვედრა რომელიც შეიცავდა შემდეგ შინაარს , ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში მწერალმა აკა მორჩილაძემ აუდიტორიას ჩაუტარა ლექცია ლადო ასათიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სახლ-მუზეუმის გამგემ ფატი ასათიანმა, დაათვალთვალებინა მუზეუმში დაცული ექსპონატები და მოუთხრო დამსწრეებს ასათიანების ოჯახის ისტორიები.შეხვედრის დასასრულს პროექტში მონაწილეები ჩაერთვნენ შემეცნებით გასართობ პროგრამაში.
10. ისტორიული მუზეუმის ფონდში2023 წელს შეიქმნა ეთნოლოგიური ლაბორატორია, რომლის მიზანია შეინახოს,გააციფროს,დაინტერესებულ პირებს და მომავალ თაობას გადასცეს ინფორმაცია ლეჩხუმში არსებული:ზეპირსიტყვიერების , ხელოსნობა, მეურნეობა/ნადირობასა და,ტრადიციებსა/რიტუალებზე, კულინარია,საინტერესო ამბები:

ტრადიციული სამზარეულო:

ვაზის შეწამვლა:

ღვასწლმოსილი ადამიანები:

წყლის წისქვილი:

ხელნაკეთობები:

მახა და ზანდურის ნათესები:

ხელნაკეთობები:

ეთნოგრაფიული სახლი (ბუხარი და ხონჩა):

ვაზის გაფურჩქვნა და თავის გადატეხვა:

კონსტანტინე ახვლედიანის ცხოვრება:

სურათების გალერეა

1. დედაენის დღესთან დაკავშირებით ცაგერის სურათების გალერეაში მოეწყო ლეჩხუმელი მხატვრების/ მოყვარულების გამოფენა ,გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 38 ნამუშევარი რომელზეც იმუშავა 18 ავტორმა. თემატიკა იყო მათი თვალთ დახატული ქართული ანბანი. ნახატები საჩუქრად გადაეცა ცაგერის სურათების გალერეას.

2. გალერეაში მოეწყო ლეჩხუმელი მხატვრის ზურაბ ხვისტიანის პერსონალური გამოფენა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო , მის ნათესავებთან და ლეჩხუმელების ოჯახებში დაცული ტილოები, აქვე გამოფენილი იყო მისი ესკიზები ,გრაფიკული ნახატები და მისი პირადი ნივთები.

დიდების მუზეუმი

1. ფაშიმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ყოველწლიურად დიდების მუზეუმში ტარდება პროექტი „გვახსოვდეს ჩვენი გმირები”

ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი

1. 2025 წლის ივნისიდან დაიწყო ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის საგამოფენო სივრცის რენოვაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მუზეუმის ვიზუალური მხარის და კონცეფციის ცვლილებებს. განახლებული მუზეუმის კონცეფციის და სელექციის ავტორია : მწერალი აკა მორჩილაძე. პროექტის ხელმძღვანელია წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი მარიამ კაკაბაძე. რენოვაციის სამუშაოები 2025 წლის ოქტომბრის ბოლოს დასრულდა.

სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი

1. ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ლექცია თემაზე - ოპერაცია „ედელვაისი“ და სტრატეგიული დაპირისპირება კავკასიონის მასივზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ისტორიულ მუზეუმში მიმდინარე წლის 2025წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1463 ვიზიტორი, აქედან

1398 საქართველოს მოქალაქე და 68 უცხო ქვეყნის. დაქვემდებარებული ობიექტების მიხედვით ისტორიული მუზეუმი - 769 ვიზიტორი, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი - 576 ვიზიტორი, სურათების გალერეა - 118 ვიზიტორი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	05 02 02	კულტურის განვითარება
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმი“	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ძირითადი ექსპოზიციების განახლება, დროებითი ექსპოზიციების მოწყობა, არსებულ ექსპონატებზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა, შემეცნებითი ლექციების და შეხვედრების ჩატარება, ძველი ტრადიციების/ხელოვნების/ამბების ვიდეოგადაღება და გაციფრება. მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ღონისძიებების ინიცირება და ჩატარება. ციფრული მარკეტინგის მიმართულების განვითარება	

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<p>მუზეუმის სამეცნიერო მიმართულებით განვითარება, კონფერენციების ჩატარება, სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება და გამოცემა. მოსახლეობისა და ახალგაზრდებისთვის, მათ შორის სკოლის მოსწავლეებისათვის კულტურულ საგანმანათლებლო და ინფორმაციული პროექტები სინიცირება და მართვა. ციფრული მიმართულების გაძლიერება და მისი მიმართვა რეგიონის ცნობადობის გასაზრდელად. დამთავრებისათვის მაქსიმალურად ამომწურავი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდება.</p>	მიღწეული შედეგი	სამეცნიერო მიმართულების განვითარება. მოსახლეობის კულტურული და შემეცნებითი დონის გაზრდა. რეგიონის ცნობადობის და დამთავალიერებელთა რაოდენობის ზრდა.
--------------------------	---	-----------------	---

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	განმარტება
--	---------------------------------------	------------

№	მოსალოდნელი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	შედეგის შეფასების ინდიკატორი				
1	ვიზიტორების რაოდენობის ზრდა.	300	700	1460	10%
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	30%	30%	30%	

ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლა“, (პროგრამული კოდი 05 02 03)

2025 წელს გამოყოფილი იქნა 144,9 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 144,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,7%-ია.

სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 68 ბავშვი, მათ შორის პირველ კლასში მიღებული იქნა 13 ბავშვი. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპიანო, სოლფეჯიო, მუსლიტერატურა, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, სკოლაში ტარდება დახურული და ღია კონცერტები, სასწავლო წლის ბოლოს ტარდება აკადემიური

შემაჯამებელი კონცერტი ფორტეპიანოს და გუნდის მონაწილეობით. მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		05 02 03		კულტურის განვითარება		
პროგრამის გამახორციელებელი		ა(ა)იპ „ცაგერის სამუსიკო სკოლა“				
პროგრამის აღწერა და მიზანი		სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 65 ბავშვი. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპიანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ სამუსიკო სკოლის მიზანია ფორტეპიანოს, სიმღერების, კლასიკური მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება.				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და პროპაგანდა.		მიღწეული შედეგი		იზრდება სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ღონისძიებებში
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	იზრდება სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ღონისძიებებში	10	10	12	20%	
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	10 %	12%	15%	5%	

ა(ა)იპ „სამხატვრო სკოლა „ (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სამხატვრო სკოლა“, კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვისა და პოპულარიზაციისათვის, მოსწავლეთა სახვითი ხელოვნების პოტენციალის გამოვლენის და სხვადასხვა პროფესიების განვითარების მიზნით.

2025 წლის პერიოდში სამხატვრო სკოლაში მოეწყო შიდა გამოფენა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების, დედის დღესთან დაკავშირებით მოეწყო სხვადასხვა ნამუშევრების ჩვენება, ასევე გამოფენა სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრების, 14 აპრილს მოეწყო დედაენის დღესთან დაკავშირებით სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა. 26 მაისს მოეწყო შიდა გამოფენა.

2025 წლის 12 ივნისს სამხატვრო სკოლა მიწვეული იყო სოლიკო ვირსალაძის 70 წლის იუბილეზე, სადაც წარდგენილ იქნა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები.

ცაგერის სამხატვრო სკოლაში ირიცხება 30 მოსწავლე და 15 მოსამზადებელი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	05 02 04	კულტურის განვითარება
პროგრამის გამახორციელებელი	ააიპ „სამხატვრო სკოლა“	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოქალაქეთა კულტურული ჩვევების ამაღლება, მოზარდთა ესთეტიკური ჩვევების ჩამოყალიბება, ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ნიმუშების შენარჩუნება და პოპულარიზაცია, ქართული ხელოვნების განვითარება, სხვადასხვა ნამუშევრების გამოფენა.</p> <p>სამხატვრი სკოლაში ფუნქციონირებს სახელოვნებო დარგების სხვადასხვა მიმართულება: ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია, ქანდაკება, ხელოვნების ისტორია, თეატრ და გობელინი, გამოყენებითი ხელოვნება</p> <p>თავისი ნამუშევრებით სკოლა მონაწილეობას იღებს ადგილობრივ, რეგიონალურ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ სახელოვნებო ღონისძიებებში, რაც მნიშვნელოვანია სკოლის ზრდა განვითარებისათვის და მოსწავლეთა მრავალფეროვნებისათვის.</p>	
დაგეგმილი შუალედური შედეგი	სასწავლო წლის დასაწყისში დგება სკოლის მიერ გეგმა სადაც მითითებული და წინასწარ დაგეგმილია სხვადასხვა კვარტლის თუ თვის სამუშაო გეგმა (როგორც შიდა ისე რაიონს გარეთ გამოფენები).	
მიღწეული შედეგი სახელოვნებო შემოქმედებით ცხოვრებაში	სამხატვრო სახელოვნებო სკოლა სასწავლებელი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში როგორც შიდა ისე რაიონს გარეთ, მასპინძლობას უწევს და ნამუშევრებს აცნობს ჩამოსულ სტუმრებს. ასევე პოპულარიზაციას უწევს შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რასაც საფუძვლად უდევს უფრო მეტი მოსწავლის დაინტერესებას სახვითი ხელოვნების მიმართ.	

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)	
1	სახელოვნებო შემოქმედებაში მოსწავლეთა ფართო მასების ჩართულობა, ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია	70%	80%	85%		
2	კმაყოფილი მოსწავლეები	60%	70%			

ა(ა)იპ „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა „(05 02 05) 2025 წელს გამოყოფილი იქნა 260,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2338 ათასი ლარით, რაც გეგმის 89,7%-ია.

აღნიშნული სახსრებით განხორციელდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები, კერძოდ, ხსოვნის საღამო - „ვინც ამ გაზაფხულს ზეცაში შეხვდა, ღმერთო მიულოცე ყველას“, წიგნის საერთაშორისო დღე, სადაც მონაწილეობა მიიღეს ცაგერის და ლასურიაშის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე,

ბიბლიოთეკის კვირეული და აღინიშნა ბიბლიოთეკარის დღე, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება „ ბავშვთა უფლებები და მომავალი თაობა“, აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჩატარდა ზურაბ ეფაძის გახსენების საღამო. განახლდა წიგნადი ფონდი, წიგნის ასოციაციის მიერ ბიბლიოთეკას გადაეცა 900ლარის ვაუჩერი საჩუქრად წიგნების შესაძენად და წიგნადი ფონდი შეადგენს 169690 წიგნს. ბიბლიოთეკამ მომსახურება გაუწია 1700 მკითხველს, მათ შორის განსაკუთრებით გაზრდილია მოზარდი თაობის დაინტერესება წიგნებით.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		05 02 05	კულტურის განვითარება			
პროგრამის გამახორციელებელი		ა(ა)იპ „მთავარი ბიბლიოთეკა“				
პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, საბავშვო, ახალგაზრდობის და სოფლის 40 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 171731 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 35489 ცალი არის ქლაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 136322 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება.(წიგნის დღე, ბიბლიოთეკარის დღე, მკითხველის დღე და ა.შ). მოსახლეობის და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება წიგნით, და მათი წიგნიერების დონის ამაღლება.				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		მოსახლეობის და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება წიგნით, და მათი წიგნიერების დონის ამაღლება.	მიღწეული შედეგი	წიგნადი ფონდის განახლება, მოზარდების დაინტერესება სხვადასხვა ლიტერატურით და მათი აქტიური ჩართვა საბიბლიოთეკო პროცესში.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	მოსალოდნელი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	შედეგის შეფასების ინდიკატორი				(%/აღწერა)	
1	მოსახლეობის და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება წიგნით, და მათი წიგნიერების დონის ამაღლება	40%	40%	40%	1%	
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	40%	25%	25%	1%	

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (05 02 06) - 2025წელს გამოყოფილი იქნა 148,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ 143,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,0%-ია.

საგანმანათლებლო მიმართულებით

- განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი რა? სად? როდის?, ინტელექტუალურ ვიქტორინაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 8 - გუნდმა 70 -ამდე მოსწავლემ.
- მოეწყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- სკოლამდელ დაწესებულებებში მონაწილეობა იქნა მიღებული დამამთავრებელი ჯგუფების გამოსაშვებ საღამოებში .
- ცაგერის N2 ბაღში გაიმართა საბავშვო გასართობი ღონისძიება (მოეწყო კინოჩვენება და ჩატარდა საბავშვო თამაშები).
